ოქმი:**ო05.37213541**

თარიღი:**20/12/2021**

ოქმი №1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2021 წელი, 10 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

11.00-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ.ნიჟარაძე, მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ე.გორდელაძე, ხ.ცერცვაძე, გ.მდინარაძე, ნ.ნადირაშვილი, ნ.გოლიაძე, ლ.ბიგვავა, პ.სალუქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი:

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ.

მომხსენებელი: პ.კიღურაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბესიკ მელუას უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხსენებელი: ე.გორდელაძე

პირველ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა სხდომის თავმჯდომარემ პ.კიღურაძემ. კომისიის წევრებმა იხელმძღვანელეს რა საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და კომისიის დებულების მე-4 მუხლის პირველი და მეორე ნაწილით მიიღეს

გადაწყვეტილება:

კომისიის უფლებამოსილებათა ფუნქციური დაჯგუფების მიხედვით კომისიაში შეიქმნას ორი სამუშაო ჯგუფი: ა) სამანდატო და საპროცედურო საკითხთა ჯგუფი-უფროსი ე.გორდელაძე- წევრები: ლ.ბიგვავა, მ.ჩხიკვიშვილი, ვ.ნიჟარაძე, ნ.ნადირაშვილი, დ.მჟავანაძე, ბ.კილაძე; ბ) საკადრო პოლიტიკისა და ეთიკის სამუშაო ჯგუფი, უფროსი ხ.ცერცვაძე, წევრები: ნ.გოლიაძე, ქ.ვასაძე, გ.მდინარაძე, პ.სალუქვაძე, რ.დუმბაძე;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბესიკ მელუას უფლებამოსილების ცნობის შესახებ მომხსენებელმა ე.გორდელაძემ კომისიის

წევრებს გააცნო N60 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიმდინარე წლის 8 დეკემბერს გადმოგზავნილი მიმართვა თანდართულ მასალებთან ერთად და წარუდგინა დასკვნა საკრებულოს წევრის ბ.მელუას უფლებამოსილების ცნობის შესახებ. კომისიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-მუხლის პირველი ნაწილის“ბ.გ“ქვეპუნქტითა და კომისიის დებულებით მიიღო

გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბესიკ მელუას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“.

2. დასკვნა გადაეგზავნოს საკრებულოს უახლოეს სხდომას.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი